

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მალდივის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის ორმხრივი კონსულტაციების შესახებ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მალდივის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, (შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი), ხელმძღვანელობენ რა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით, კერძოდ: სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის, სუვერენული თანასწორობის პატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით;

ითვალისწინებენ რა, პოლიტიკური კონსულტაციების გამართვისა და საერთო ინტერესის რეგიონულ და გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა დონეზე აზრთა გაზიარების სარგებლიანობას;

სურვილი აქვთ რა, გააძლიერონ თანამშრომლობა და ორმხრივი კონტაქტები ორი სახელმწიფოს საგარეო უწყებებს, დიპლომატიურ მისიებსა და სხვა წარმომადგენლობებს შორის,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

კონსულტაციების სფეროები

1. მხარეები ურთიერთშეთანხმებით ჩაატარებენ რეგულარულ შეხვედრებსა და კონსულტაციებს იმ საკითხებზე, რომლებიც შედის მათი კომპეტენციების სფეროში.

2. შეხვედრები/კონსულტაციები მოიცავს შემდეგს:

ა) პოლიტიკურ სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) ორმხრივი რეგიონული და გლობალური თანამშრომლობის საკითხებს, რომლებიც წარმოადგენს მხარეების საერთო ინტერესს;

გ) საერთო ინტერესის საკითხებს, რომლებზეც მუშაობენ ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წევრიც ორივე მხარის სახელმწიფოა.

მუხლი 2

შეხვედრები

1. შეხვედრები/კონსულტაციები მონაცვლეობით გაიმართება ალტერნატიულად საქართველოსა და მალდივის რესპუბლიკაში.

2. მხარეები წინასწარ, დიპლომატიური არხების მეშვეობით, განსაზღვრავენ დელეგაციების დონეს, ასევე შეხვედრების ან კონსულტაციების თარიღებსა და დღის წესრიგს.

მუხლი 3

სამუშაო და ექსპერტთა ჯგუფების შექმნა

მხარეებს შეუძლიათ ერთობლივი შეთანხმებით შექმნან სამუშაო ჯგუფები ან ექსპერტთა ჯგუფები ცალკეული საკითხების შესწავლის მიზნით.

მუხლი 4

წარმომადგენლობებს შორის თანამშრომლობა

მხარეები მუდმივად განავითარებენ კონტაქტებს თავიანთ შესაბამის წარმომადგენლებს შორის საერთაშორისო



ორგანიზაციებისა და ფორუმების ფარგლებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროში, ყველა მეგობარ ქვეყანასთან ერთად, ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 5

თანამშრომლობის სფეროები

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სფეროში და ინიციატივების განხორციელებას იმ შეთანხმებების, ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების გაფორმების მიზნით, რომლებიც მიმართულია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა განმტკიცებისკენ.

მუხლი 6

დავების მოგვარება

მხარეებს შორის წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის გამოყენებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა გადაწყდება კონსულტაციების და/ან მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 7

შესწორებები

მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით და ძალაში შევა ისეთივე წესით, როგორი წესითაც წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმში შედის ძალაში. აღნიშნული სახით მიღებული დოკუმენტი წარმოადგენს წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8

ძალაში შესვლა, ხანგრძლივობა და შეწყვეტა

1. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმში ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში. ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ, იგი ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ხუთწლიანი პერიოდებით.

2. თითოეულ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს, დიპლომატიური არხების საშუალებით, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ, მოქმედება შეუწყვიტოს წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს. ურთიერთგაგების მემორანდუმში მოქმედებას წყვეტს შეტყობინების მიღების დღიდან ექვსი (6) თვის შემდეგ.

რის დასტურადაც ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს ორ დედნად, თითოეული ქართულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე. შესრულებულია მალდივის რესპუბლიკაში, 2019 წლის 18 ივნისს.

საქართველოს საგარეო საქმეთა

სამინისტროს სახელით

მალდივის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა

სამინისტროს სახელით



